პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 66 (665) | კვირა, 23 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1953 წლის 19 აგვისტოს, ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. **მირცხულავას** მოხსენება — საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის მდგომარეობისა და მისი წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა და კომუნისტთა აღრიცხვის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **ნ. ი. სტურუამ** (საქართველოს კომპარტიის თბილისის ქალაქკომი), **ა. ბ. უთიაშვილმა** (საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომი), **ი. ა. გვილავამ** (საქართველოს კომპარტიის სუხუმის ქალაქკომი), **მ. დ. ავალიანმა** (საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომი), **გ. მ. მესხიძემ** (საქართველოს კომპარტიის ბათუმის ქალაქკომი), **ბ. ვ. ლომიძემ** (საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ქალაქკომი), **ა. ა. ავაზაშვილმა** (საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომი), **ა. ა. ნოზაძემ** (საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომი), **პ. გ. გილაშვილმა** (საქართველოს კომპარტიის სტალინირის ქალაქკომი), **ა. ა. ბლრციანმა** (საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომი).

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

მშვიდობის, შემოქმედებითი შრომის ბიუჯეტი

დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ ზრუნვას ადამიანებზე ნათლად ადასტურებს საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის, რადგან მთელ იმ ძვირფას კაპიტალს შორის, რაც ჩვენს ქვეყანას მოეპოვება, ყველაზე ძვირფას, ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს ადამიანი წარმოადგენს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი ენერგიის დაუზოგავად იბრძვის, რათა პირნათლად შეასრულოს ყველა ის გრანდიოზული ამოცანა, რომლებიც მათ წინაშე დგას.

მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IV სესიამ, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოხსენება საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1952 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება. სესიამ მიიღო კანონი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის ახალ ბიუჯეტში ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის. საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტის 64 პროცენტი ხმარდება სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებებს.

მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეს ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომელთა შენახვაზე ბიუჯეტით მიმდინარე წელს 49 მილიონი მანეთი დაიხარჯება. რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის გათვალისწინებულია დიდი ასიგნობანი. იგი 104,9 მილიონ მანეთს აღწევს, ნაცვლად 1946 წელს დახარჯული 7,4 მილიონი მანეთისა.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებაზე შეუნელებელი ზრუნვის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურულ ღონისძიებებზე რესპუბლიკაში დაიხარჯება 473,1 მილიონი მანეთი! ეს ხარჯები 44,7 მილიონი მანეთით აღემატება 1952 წელს ამავე მიზნით გაწეულ თანხებს.

საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა, გაეცნენ რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IV სესიის მიერ მიღებულ კანონს, გამოთქვეს თავიანთი აღფრთოვანება. მათ გადაწყვიტეს, რომ პარტიისა და მთავრობის ასეთი ყურადღების პასუხად დაუღალავად იბრძოლონ მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაშლელად, ახალი სპორტტექნიკური შედეგების მოსაპოვებლად.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზკულტურულ ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა ხელს შეუწყობს და ახალ სიმაღლეზე აიყვანს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ჩვენს რესპუბლიკაში. აღიზრდება მრავალი ახალი სპორტის ოსტატი, თანრიგოსანი, ნიშნოსანი, აიგება სპორტული ბაზები, ჩატარდება მრავალი მასობრივი ღონისძიება, გამოიწრთობიან და ჯანმრთელობას გაიკაჟებენ ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული შვილები, რომლებიც მუდამ მზად არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას საქმით დაუმტკიცონ ერთგულება.

საქართველოს სსრ ბიუჯეტი სსრ კავშირის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. ეს არის მშვიდობის ბიუჯეტი, იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აყვავების თავდებია.

ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დიდ წარმატებას მიაღწია სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წმიდათაწმიდა მოვალეობაა ერთიორად, ერთისამად გააძლიერონ შრომის ტემპები, თავდადებული საქმიანობით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისტური საზოგადოების ნათელი შენობის აგებაში.

ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს შეაჩეროს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი სვლა კომუნიზმისაკენ!

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 19 აგვისტოს სხდომის შესახებ

19 აგვისტოს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატი **შ. ვ. ხიდაშელი** (ჭიათურის რაიონის სვერის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. ე. მელაძე** (ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის საქარხნო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. კ. მაკაროვი** (წალკის რაიონის ედიქილისის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ი. ყუფარაძე** (ხულოს რაიონის ყინჩაურის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ი. ბარამია** (ცხაკაიას რაიონის ცხაკაიას საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. ი. ჯანელიძე** (ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საარჩევნო ოლქი). შემდეგ თავმჯდომარე **ა. დ. გიორგაძე** სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ **ვ. მ. ბაქრაძეს**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომ შეწყდეს კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო და ისმენს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. **კ. ხ. ციმაკურიძის** საბოლოო სიტყვას.

დეპუტატ **ა. ა. გიგოშვილის** წინადადებით მიღებულ იქნა ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგი წესი: საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილების მიხედვით; რესპუბლიკურ ბიუჯეტს — შემოსავლისა და გასავლის საერთო შედეგების მიხედვით; საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს კენჭი ეყაროს შემოსავლისა და გასავლის ნაწილების შესრულების საერთო შედეგების მიხედვით; სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მიღებულ იქნეს მუხლობრივ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს.

უმაღლესი საბჭო მუხლობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად ამტკიცებს „კანონს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

უმაღლესი საბჭო იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. ა. ჯავახიშვილმა**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დადგენილებებს:

„აჭარის ასს რესპუბლიკაში შუახევის რაიონის შექმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ახალი ათონის რაიონის შექმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ თბილისისა და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ ზემო სვანეთის რაიონისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „საქართველოს სსრ ქვემო სვანეთის რაიონისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 9 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 7 მუხლის ცვლილების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. გ. დეკანოზოვისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის ა. ნ. რაფავას მოხსნის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ“.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად ალექსი ნიკოლოზის-ძე **ინაურის**;

საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრად თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე **დავითაშვილის** დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ლ. პ. ბერიას ჩამოერთვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი მისი დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების გამომჟღავნების გამო, მოქმედებისა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრა უცხოეთის კაპიტალის სასარგებლოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

შემდეგ სესია იწყებს დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას: „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. ა. ჯავახიშვილმა**.

უმაღლესმა საბჭომ აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულნი.

დეპუტატმა **ნ. ა. ჟვანიამ** აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით სესიის განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის საკითხი.

უმაღლესმა საბჭომ დაადგინა დეპუტატი **ნ. ა. ჯავახიშვილი** პირადი თხოვნის თანახმად განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან და აირჩია იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია დეპუტატი თამარ ნიკოლოზის ასული **ქვლივიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგი ამოიწურა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. დ. გიორგაძე** დახურულად აცხადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას.

ბაუგსვერდეს ტბაზე

ევროპის პირველობა ნიჩბოსნობაში

ამ რამდენიმე ხნის წინ, მოსკოვიდან დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიგზავნა არაჩვეულებრივი ტვირთი: მსუბუქი, გრძელი ნავების მთელი სერია. ხოლო მეორე დღეს კოპენჰაგენს ესტუმრნენ ამ ნავების „მფლობელები“, საბჭოთა კავშირის უძლიერესი ნიჩბოსნები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის პირველობის გათამაშებაში.

გულღიად შეხვდა დანიის დედაქალაქი სტუმრებს საბჭოთა კავშირიდან. დანიის სპორტული წრეების ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ: ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს რათა საბჭოთა ნიჩბოსნებმა კარგად იგრძნონ თავი, მაგრამ ამინდისათვის წინასწარ ბოდიშს ვიხდით! მართლაც კოპენჰაგენში ამინდი ძალზე ცვალებადი გამოდგა. ქლიერ ქარს ხშირად ცვლიდა წვიმა და შემდეგ ნათელი მზიანი დარი.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის პირველობის გათამაშება საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჩემპიონატი გაიმართა 60 წლის წინად და მას შემდეგ სისტემატურად ეწყობოდა ევროპის უძლიერეს ნიჩბოსანთა ასპარეზობა, მონაწილეთა ისეთი ძლიერი შემადგენლობა, როგორიც წელს იყო, არასოდეს არ ყოფილა. შეჯიბრებისადმი ინტერესი საგრძნობლად გაზარდა იმანაც, რომ ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იტალიის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად ჩემპიონატში წელს პირველად გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები და მათ შორის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ი. ტიუკალოვი. ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის მებრძოლთა რიგებში იყო ოლიმპიური თამაშების 10 ჩემპიონი და პრიზიორი. აღსანიშნავია ისიც, რომ სრული გუნდები შეჯიბრებაზე გამოიყვანეს მხოლოდ საბჭოთა კავშირმა და იტალიამ.

13 აგვისტოს 16 საათსა და 30 წუთზე საზეიმო ვითარებაში მოხდა ჩემპიონატის გახსნა, რის შემდეგ დაიწყო წინასწარი შეჯიბრებები. განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა პირველობის ფინალი, რომელსაც დაესწრო დანიის მეფე, მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სამი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა დააგროვეს 34,5 ქულა და დაიკავეს საერთო პირველი ადგილი. 23 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ დანიის, ხოლო მესამეზე — (18,5) ჩეხოსლოვაკიის ნიჩბოსნები.

საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 11 ოქროსი და 7 ვერცხლის მედალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარქვეშა „დერეფანში" თამაშის შესახებ

უკანასკნელ დროს კალათბურთის თამაშის წესებმა დიდი ცვლილებები განიცადეს. სიახლეა შეტანილი არა მარტო მოთამაშეებისა და მსაჯების უფლებებში, არამედ მოედნის დახაზვასა და მათს მოწყობაშიც.

მაგალითად, ერთნახევარი წლის წინათ გადაწყდა შეცვლილიყო ფარების განლაგება მოედნის მიმართ — ახლა ისინი პირით ხაზიდან შეწეული არიან სიღრმეში არა 60 სანტიმეტრით, არამედ 120 სანტიმეტრით. ამგვარად, ფარის ქვეშ, მის სიბრტყესა და პირით ხაზს შორის, წარმოიქმნა საკმაოდ ფართო, „დერეფანი", რომელიც შეიძლება და კიდეც უნდა იქნას გამოყენებული სათამაშო სიტუაციების დროს კომბინაციების განსავითარებლად.

მაგრამ ბევრი მოთამაშე და გუნდი ჯერ კიდევ ვერ დაეუფლა მიცემულ საშუალებების მთლიანად გამოყენებას.

მოხვდებიან რა ღრმად ფარის ქვეშ ზედ პირით ხაზთან, მოთამაშეებს, როგორც წესი, ეუფლება მხოლოდ ერთი აზრი — რაც შეიძლება უფრო სწრაფად გადასცენ ბურთი რომელიმე პარტნიორს (რათა არ დაარღვიონ სამი წამის წესი).

მაგრამ ჩვენი საუკეთესო გუნდების პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რაოდენ ეფექტური შეიძლება იყოს იერიში, რომელიც ჩატარებულია მთელი ფარქვეშა სივრცის გამოყენებით. ჩვენში ბევრჯერ გამოუწვევია აღტაცება ს. ბუტაუტასის, ა. მოისეევის, ლ. ინწკირველის, ა. ვალდმანისისა და სხვების ოსტატობას, რადგან ისინი დაუფლებული არიან იერიშის დამთავრებისათვის საჭირო ტექნიკური ხერხების მდიდარ არსენალს. ამასთან მათ ეს არსენალი გაამდიდრეს ფარის ქვევიდან ტყორცნების ახალი ხერხებით.

მარცხენა სურათზე აღბეჭდილია ევროპის პირველობაზე ჩატარებული ერთ-ერთი თამაშის მომენტი, როცა საბჭოთა გუნდის თავდამსხმელმა ს. ბუტაუტასმა, გაიარა რა ბურთით ზედ პირის ხაზთან და უკან მოიტოვა რგოლი, მოწინააღმდეგეებისათვის მოულოდნელად შეაღწია ფარქვეშ და, იმყოფებოდა რა უკვე ზურგით რგოლისაკენ, ჩაატარა დამამთავრებელი ტყორცნა. ყველაფერი ეს ისეთი ელვისებური სისწრაფით მოხდა, რომ მცველმა, რომელიც მას კვალდაკვალ მოჰყვებოდა, ნახტომის გაკეთებაც კი ვერ მოასწრო, რათა ხელი შეეშალა ტყორცნისათვის.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ითვისებს ოსტატობის გამოცდილებასა და ტექნიკას ჩვენი ახალგაზრდობა, შეიძლება გამოვიყენოთ მარჯვენა სურათი, რომელიც გადაღებულია „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ამასწინათ თბილისში ჩატარებული ასპარეზობის დროს. თამაშობდნენ მოსკოვისა და კიევის ვაჟთა გუნდები. კიეველთა თავდამსხმელმა ი. ჩერტოვმა (თეთრმაისურიანი) ბურთის ტარება უკვე ფარის სიბრტყის გარეთ დაამთავრა, მაგრამ ამის მიუხედავად, მას იერიში მიაქვს რგოლზე, იყენებს რა არა მარტო თავის მაღალმხტომელობას, არამედ უნარსაც ხტომის დროს წარმატებით გამოიყენოს ცრუ მოძრაობა.

მთელი ფარქვეშა სივრცის რაციონალური გამოყენება კიდევ უფრო გაამდიდრებს გუნდების თამაშს, იერიშებს გახდის მწვავეს და შედეგიანს.

ასთერთმეტი ქვეყნის ძმადნაფიცები

მონაწილის შთაბეჭდილებები

ძნელი წარმოსადგენია ის საყოველთაო აღტაცება, რომელიც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალის მონაწილეთა შორის გამოიწვია ელვადდარხეულმა ხმამ:

— ანრი მარტენი ჩამოდის!

111 ქვეყნის 30 ათასი წარგზავნილი, დედამიწის უშორესი კუთხეებიდან ჩამოსული მშვიდობისმოყვარე ძმადნაფიცები, კეთილი ნების ჭაბუკები და გოგონები ერთსულოვან ლაშქრად დარაზმა ამ ცნობამ. ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ისინი სიმღერითა და სიხარულით გაემართნენ აეროდრომისაკენ.

როცა თვითმფრინავის კარი გაიღო და შეკრებილთა წინაშე ახალგაზრდა კაცი, მშვიდობის საქმისათვის თავდადებული რაინდი, ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი ანრი მარტენი გამოვიდა, ზღვა ხალხმა ერთად იქუხა. მარტენი ხელში აიყვანეს და ასე ატარეს დიდხანს.

დიდებული სანახაობა იყო! არ შეიძლება აღფრთოვანება არ გამოიწვიოს მსოფლიოს ხალხების ამ უმტკიცესმა მეგობრობამ. ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ, თუ როგორ უყვარს ფრანგ ხალხს კორეელები, იტალიელებს — ინდოელები, ირანელებს — ავსტრიელები... ჩვენ ერთხელ კიდევ ცხადად დავრწმუნდით იმაში, რომ ადამიანების კეთილშობილურ მისწრაფებას, რა ფერის კანიც არ უნდა ქონდეთ მათ, ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა.

ჩვენს მატარებელში, როცა ბუქარესტისაკენ მივემგზავრებოდით, იმყოფებოდა ფინელთა დელეგაცია. თურმე, ფინეთის რეაქციულ წრეებს, სპორტსმენები დაუშინებიათ—საბჭოთა კავშირში რკინის ბადეებიანი ვაგონებით გამგზავრებენო. მათ გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში და მგზავრობის მთელ მანძილზე საბჭოთა ხალხი მათ საზეიმო შეხვედრებს უწყობდა, ყვავილებსა და საჩუქრებს თავაზობდა. ფინელთა შორის ძველი ნაცნობებიც იყვნენ — მოჭიდავეები რუიკა და გრენდალი. მათი საშუალებით ჩვენ და სტუმრები მალე დავმეგობრდით და, რა თქმა უნდა, რკინის ბადეებიანი ვაგონები ანეგდოტად იქცა.

ჩვენი მატარებლით მიემგზავრებოდნენ მოჭიდავეები, კალათბურთელები, მოცურავეები, წყალში მხტომელები და ნიჩბოსნები. მგზავრობა ერთობ ხალისიანი იყო. წამითაც არ შეწყვეტილა სიმღერა, სიცილი, მხიარულება. გართობა „ფართო პროგრამით" წარმოებდა. ერთხელ, მეზობელ ვაგონში შესული, ასეთ სურათს წავაწყდი — ერთმანეთს დასჭიდებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე და... კალათბურთელი ოთარ ქორქია. ეტყობა, კარგა ხნის ნაძიძგილავები იყვნენ, ორივე გაოფლილიყო და მძიმედ ხვნეშოდა. თუმცა ბოლოში ძალიან გაუჭირდა, მაგრამ კალათბურთელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად ჩაატარა ეს „შეხვედრა".

საზღვარზე გადასვლისთანავე ვიგრძენით რუმინელი ხალხის შესანიშნავი სტუმართმოყვარეობა: ყოველ სადგურზე, პლატფორმაზეც კი აუარებელი ხალხი იყრიდა თავს, გვხვდებოდნენ პლაკატებით, ლოზუნგებით, მეგობრული შეძახილებით, ყვავილების თაიგულებით, იმართებოდა სახელდახელო მიტინგები.

ბუქარესტი. სადგურის მოედანზე ტევა არ იყო. ჩვენს შესახვედრად აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. შეუძლებელია სიტყვით გადმოიცეს ის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე დატოვა ამ შეხვედრამ. ათი ათასობით ახალგაზრდა მთელი ხმით, მთელი გულით ზეიმობდა თავის დღესასწაულს.

ფესტივალის მონაწილენი ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ. ჩვენ ავსტრიელებთან ერთად ერთ შენობაში მოვხვდით და კიდეც დავმეგობრდით.

ჩვენს დელეგაციას ხშირი სტუმრიანობა ჰქონდა. გვეწვივნენ ინდონეზიელები, აფრიკელები, ინდოელები, ბრაზილიელები...

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის ფედერაციებთან. ამერიკელი და ინგლისელი ახალგაზრდები პირველი დღიდანვე თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ ის, რასაც მათ ყვითელი პრესა ჩასჩიჩინებს — მტკნარი სიცრუეა. მთელი საღამოს განმავლობაში ვისხედით როგორც ნამდვილი მეგობრები. გაიმართა კონცერტი, რომელშიც თავისი ხელოვნება აჩვენეს მომღერლებმა, მუსიკოსებმა. საღამო დამთავრდა მეგობრული ვახშამით.

თუ რაოდენ დიდი იყო ლტოლვა ამ ფესტივალისადმი, ცხადყოფს თუნდაც ერთი მრავლისმეტყველი მაგალითი: ირანელ ახალგაზრდებს — 12 ქალისანს და მოჭიდავეს არ მისცეს ფესტივალზე წასვლის უფლება. სპორტსმენებმა სცადეს ფარულად გადაელახათ საზღვარი, რომლის დროს მათ შეტაკება მოუხდათ მესაზღვრეებთან. ქალისნები და მოჭიდავეები მაინც გადავიდნენ საზღვარზე და შემდეგ კი ბუქარესტში ჩამოვიდნენ.

ფესტივალის მრავალფეროვანი სპორტული პროგრამის მთლიანად გადმოცემა ძნელია. შეჯიბრებები ერთდროულად მიმდინარეობდა მრავალ ბაზაზე, ქალაქის სხვადასხვა კუთხეში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ბუქარესტის სპორტული ბაზების მაღალი ხარისხი. ძირითადი ბაზა — 23 აგვისტოს სახელობის სტადიონი და სხვებიც შესანიშნავი ნაგებობანია.

როგორც მოჭიდავეთა გუნდის მთავარი მწვრთნელი, უპირველესად შევჩერდები ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლაზე. როგორც ცნობილია, მათ ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს. საიადომა, გიგაძემ, ბალავაძემ, ენგლასმა, მეკოკიშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა), სტაშკევიჩმა, პუნკინმა, საფინმა, კარტოზიამ, შატვორიანმა, ნიკოლაევმა და მაზურმა (კლასიკური ჭიდაობა) პირველი ადგილები დაიკავეს და ოქროს მედლები მოიპოვეს.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტი პოპულარობა და მაყურებელთა სიმპათია ვახტანგ ბალავაძემ მოიპოვა. მართლაც ბალავაძემ ბრწყინვალედ, ვაჟკაცურად იჭიდავა. ხალიჩაზე ყოველ მის გამოსვლას, მის ყოველ წარმატებას დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ. მას ჭიდაობის „პროფესორი" შეარქვეს.

ვ. კუხიანიძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

(დასასრული იქნება)

ორას კილომეტრზე

ამ დღეებში მდინარე ამურზე (ხაბაროვსკის მხარე) შორეულ ცურვაში სტარტი აიღო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ფაიზულინმა. იგი დახარჯული ენერგიის აღსადგენად საკვებს წყლიდან ამოუსვლელად ღებულობდა და გზას განაგრძობდა. სპორტსმენს გამამხნევებელი შეძახილებით ნაპირებიდან ეგებებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. როდესაც მან 200 კილომეტრი ცურვით გაიარა წამზომმა 26 საათი და 8 წუთი აჩვენა, რაც სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდია შორეულ ცურვაში. ფაიზულინმა თავისი ახალი რეკორდი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალს მიუძღვნა.

გააკრიტიკეს „კოლმეურნეს" რაისაბჭოს მუშაობა

თელავში ჩატარდა „კოლმეურნეს" მეოთხე რაიონული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა რაისაბჭოს თავმჯდომარის ს. უთიაშვილის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინანდლის, რუისპირის, ართანისა და სხვა კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობა მაღალ დონეზე დგას. მაგრამ ვანთის, ჯუღაანის, თეთრიწყლების ლეჩურის, კურდღელაურისა და შალაურის ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტული საქმიანობა ჩაშლილია. აქ არ მოუმზადებიათ არცერთი თანრიგოსანი და ნიშნოსანი, არა აქვთ სპორტული ბაზები და ინვენტარი.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გ. თვალიაშვილმა, შ. ჯავახიშვილმა, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ნ. მალუძემ, დ. სტეფანოვმა და სხვებმა „კოლმეურნეს" რაისაბჭო გააკრიტიკეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

ა. სახიევი

გამოუყენებელი შესაძლებლობანი

აბაშის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ახალგაზრდები სურვილს გამოთქვამენ იმეცადინონ სხვადასხვა სპორტულ სექციაში, მაგრამ მათ არავინ აქცევს ყურადღებას. მიმდინარე წელს კომკავშირის ორგანიზაციის კრებებზე (მდივანი მ. გადელია) ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად 3-ჯერ მიიღეს დადგენილება, მაგრამ მდგომარეობა მაინც უცვლელი დარჩა.

მტს-ში ჩამოყალიბებულია სპორტსაზოგადოება „უროჟაის" ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი, რომელიც ფაქტიურად არაფერს აკეთებს. მიმდინარე წელს წრეებს ერთხელაც არ ჩაუტარებიათ მეცადინეობა. სპორტული ტანსაცმელი და ინვენტარი, მართალია, შეიძინეს, მაგრამ გამოუყენებელია. ფეხბურთის მოედანი სარეველა ბალახითაა დაფარული. მექანიზატორებს ერთხელაც არ მიუღიათ მონაწილეობა რაიონის მიერ გამართულ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში.

აბაშის მტს-ში ყველა შესაძლებლობაა ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად, და ეს შესაძლებლობანი გამოყენებულ უნდა იქნას.

ი. თოფურია.

ბავშვთა სპორტსკოლები რეორგანიზაციას მოითხოვს

მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებენ ბავშვთა სპორტული სკოლები, რომელთა ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ ფართოა. სპორტულ სკოლებში ახლადდამწყები სპეციალისტდება სპორტის სახეობაში, ოსტატდება გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით და შემდეგ წარმატებით იცავს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამიტომ ბავშვთა სპორტულ სკოლებში სწავლების სწორ მოწყობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სამწუხაროდ, სპორტსკოლებს ნორმალური მუშაობის გასაშლელად ბევრი რამ უშლის ხელს. მთავარი მათ შორის — ეს არის სპორტული სკოლების მუშაობის არსებული სტრუქტურა. სკოლებში ვერ ხერხდება სწავლების წლების მიხედვით კლასების ჩამოყალიბება და მოსწავლეთა გადაყვანა კლასიდან კლასში. ცნობილია, რომ საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენები რაიონის სპორტულმა სკოლებმა უნდა გადასცენ თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალურ სპორტსკოლას. მაგრამ ეს წესი არ ხორციელდება, რადგან რაიონულ სპორტულ სკოლებში დაინტერესებულნი არიან თვითონ ჰყავდეთ კვალიფიციური სპორტსმენები. ყველაფერი ეს ჰქმნის ერთგვარ პარალელიზმს რაიონული და ცენტრალური სპორტსკოლების მუშაობაში, რასაც არევ-დარევა შეაქვს საერთო საქმეში.

ბევრი სპორტსკოლის დირექტორი ერთნაირად კარგად ვერ ერკვევა (და ძნელიცაა ერკვეოდეს) სპორტის ყველა სახეობაში. ამის გამო სკოლებში დაბალია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დონე და ადგილი აქვს ზოგიერთი მწვრთნელის მიერ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას.

ყველასათვის ცნობილია, რომ სპორტსკოლებში მწვრთნელთა, მასწავლებელთა უმეტესობა შეთავსებით მუშაობს და არა აქვს საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სპორტსკოლას მჭიდრო კავშირი არა აქვს გაბმული ფიზკულტურის და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ამასთან საყვედურის ღირსნი არიან ზემოხსენებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც, რომლებიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ სპორტსკოლების საქმიანობით.

სპორტსკოლების მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი პირობა ბაზებისა და სპორტინვენტარის უქონლობაა. რაიონის სპორტსკოლები თავიანთ მუშაობას ძირითადად საშუალო სკოლების მოედნებზე ატარებენ, ცენტრალური სპორტსკოლა კი იჯარით აღებულ ბაზებზე. ყველაფერი ეს აძნელებს საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს, როგორც მოსწავლეთა, ისე მწვრთნელთა მუშაობაზე. განსაკუთრებით ძნელია მუშაობის ჩატარება თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალურ კომპლექსურ სპორტსკოლაში, სადაც სასწავლო საწვრთნელი მუშაობა 30-მდე ბაზაზე ტარდება.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია, მოხდეს სპორტსკოლების რეორგანიზაცია. კერძოდ, სკოლები შეიქმნას სპორტის სახეობების მიხედვით, ისე როგორც ეს ამჟამად ტანვარჯიშულ სკოლაშია და რომლის გამოცდილება უდავოდ დადებით შედეგს იძლევა. ასეთი რეორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს თბილისში ჩამოვაყალიბოთ მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, ჭიდაობის, ფარიკაობის, კრივის, ველოს, ცურვის, ჭადრაკის სპეციალიზებული სკოლები.

სპეციალიზებული სპორტული სკოლების დირექტორებად უნდა დაინიშნონ შესაფერი პირები, სკოლები უზრუნველყოფილი უნდა იქნან მუდმივი სამეცადინო ბაზებით, საჭირო სპორტინვენტარით, მწვრთნელთა საკუთარი კადრებით.

მხოლოდ ასეთი ცვლილებები მოგვცემს დადებით შედეგს ბავშვთა შორის სპორტულ მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

გ. ჯაფარიძე,

თბილისის განათლების განყოფილების მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი.

თასი მესამედ მოიპოვეს

ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ბოლო, მეხუთე დღე უაღრესად დაძაბული, საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მოსკოვისა და სომხეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა შეხვედრის წინ ბევრი ვარაუდობდა მოსკოველთა გამარჯვებას, რომელთაც 8 შესაძლებლიდან დაგროვილი ჰქონდათ 7 ქულა. მათ მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ მხოლოდ 3. მიუხედავად ამისა, სომხეთის გუნდმა დიდი მონდომებით ჩაატარა შეხვედრა და დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე ანგარიშით 1:0.

პირველი ადგილის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ფეხბურთელთა შეხვედრას. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა სრული პასუხისმგებლობით ჩაატარეს გადამწყვეტი მატჩი და მოიგეს იგი ანგარიშით 3:1. ამრიგად, მათ 10 შესაძლებლიდან დააგროვეს 8 ქულა და მოიპოვეს პირველობა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში. მეორე ადგილზე 7 ქულით გავიდა მოსკოვის გუნდი. ქულათა თანაბარი რაოდენობა (5) დააგროვეს სომხეთისა და უკრაინის კოლექტივებმა. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდებით მესამე ადგილი დაიკავეს სომხეთის ფეხბურთელებმა.

უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ გაიმართა შეჯიბრების საზეიმო დახურვა. გამარჯვებულ გუნდს — საქართველოს სსრ ნორჩ ფეხბურთელებს (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე) გადაეცა გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. უნდა აღინიშნოს, რომ საპატიო თასი ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს მესამედ.

„ა" კლასის ოსტატთა შეხვედრები

„ზენიტი" (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი)

19 აგვისტოს ხარკოვის „ლოკომოტივმა" ჩაატარა გათამაშების უკანასკნელი მატჩი კუიბიშევში ადგილობრივ „ზენიტთან". გაიმარჯვეს კუიბიშეველებმა ანგარიშით 5:0.

* * *

„სპარტაკი" (ვილნიუსი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)

გათამაშების ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერა ვილნიუსის „სპარტაკმა", რომელმაც თავის მოედანზე დაამარცხა „ზენიტი" (ლენინგრადი) — 1:0.

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

მდგომარეობა 23 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" თბ.	18	11	4	3	37:19	26
„სპარტაკი" მ.	16	9	6	1	43:13	24
„დინამო" მ.	17	8	5	4	32:16	21
„ზენიტი" ლ.	19	10	1	8	24:21	21
„ტორპედო" მ.	18	9	3	6	29:33	21
„ლოკომოტ." მ.	19	6	6	7	20:26	18
„ზენიტი" კბ.	17	6	4	7	21:22	16
„ლოკომოტ." ხ.	20	6	4	10	19:34	16
„დინამო" კ.	17	4	4	9	17:24	12
„დინამო" ლ.	17	4	3	10	18:30	11
„სპარტაკი" ვ.	18	2	6	10	9:31	10

ინდოელი ფეხბურთელები თბილისში

დღეს თბილისში ჩამოდიან ინდოეთის „ისტ ბენგალ კლუბის" (კალკუტა) ფეხბურთელები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბუქარესტის IV ფესტივალზე.

ინდოეთის გუნდმა პირველი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა მოსკოვში, სსრ კავშირის თასის მფლობელთან „ტორპედოსთან".

25 აგვისტოს კალკუტის „ისტ ბენგალ კლუბი" საქართველოს დედაქალაქში შეხვდება თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდს.

ნორჩი დინამოელები

2 აგვისტოს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და სომხეთის „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელები. მაყურებლები მოხიბლა საქართველოს ნორჩი ფეხბურთელების მაღალტექნიკურმა, გააზრებულმა თამაშმა. თბილისელები კარგად ფლობდნენ ბურთს, ზუსტად აწოდებდნენ ერთმანეთს, ვითარების შესაბამისად იცვლიდნენ ადგილებს და მოწინააღმდეგის კარი გაუწყვეტელი იერიშების ქვეშ იყო. ანგარიში 7:1 თავისთავად მეტყველებს მათი თამაშის კლასზე.

ამ გამარჯვების შემდეგ ნორჩი დინამოელები გაემგზავრნენ ვორონეჟში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო შეჯიბრებაში. მათ ზედიზედ დაამარცხეს ლენინგრადის (5:0), სტალინგრადის (2:1) და კიევის (4:1) გუნდები. ფინალში ჩვენი რესპუბლიკის გუნდი შეხვდა როსტოვის ფეხბურთელებს და მოუგო მათ ანგარიშით 3:2.

გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები თ. მელიაშვილი, რ. მაისურაძე, გ. ხაზარაძე, გ. გომელაური და ო. უნგიაძე. დაცვაში კარგად ითამაშეს რ. ჩანჩალეიშვილმა, ა. გვაზავამ, ი. ჩანტლაძემ და ი. ხევასტიანოვმა.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა თავის აღსაზრდელებთან გუნდის მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. გაგუამ, რომლის ხელმძღვანელობითაც „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელებმა წელს მეორედ ჩამოიტანეს „ნორჩი დინამოელის" თასი ფეხბურთში.

• • •

სურათზე: „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელთა გუნდი.

საფარიკაო ბილიკებზე

ი. ესაიაშვილი

სმოლენსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გაიმართა ნორჩ მოფარიკავეთა საკავშირო შეჯიბრება. მასში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების წარმომადგენლები, სულ 15 გუნდი.

პირველსავე ბრძოლებმა ცხადყო ნორჩ მოფარიკავეთა ოსტატობის ზრდა. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს, სომხეთის, ლიტვისა და ესტონეთის წარმომადგენლებზე. სამდღიან დაძაბულ ასპარეზობაში გუნდური პირველობა მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის, მესამეზე — რსფსრ-ს გუნდები.

დიდი წარმატება ხვდათ წილად საქართველოს მოფარიკავეებს რაპირასა და ესპადრონში, ხოლო შპაგაში სომხეთის წარმომადგენლებს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა უკრაინის გუნდმაც, რომლის სამმა წევრმა მოიპოვა მეორე, ხოლო კიდევ სამმა — მესამე ადგილები. უკრაინის უძლიერესი მოფარიკავე გ. ვოდოვოზოვი პირველი იყო რაპირაში.

ასპარეზობაში მონაწილე საქართველოს გუნდის თორმეტივე წევრი ფინალში გავიდა.

პირად ჩათვლაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია საქართველოს გუნდის წევრმა ჯ. მაჭავარიანმა. მან პირველი ადგილი მოიპოვა ესპადრონში.

ჯ. მაჭავარიანი

ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში ყველას აჯობა თბილისელმა ი. ესაიაშვილმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე ლიტველმა დ. ვაიტკუნასმა, უკრაინელმა ე. რიუმინმა და ერევნელმა ს. პაპეკიანმა.

ერევნის რინგზე

ნორჩ მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ჩვენს ქვეყანაში, წარმოადგენს ტყავის ხელთათმნის მომავალ ოსტატთა დათვალიერებას.

წლევანდელი შეჯიბრება, რომელიც ამას წინათ ერევანში გაიმართა, აღინიშნა სპორტსმენთა ტექნიკის ზრდით. დაძაბულ ბრძოლაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სომხეთის მოკრივეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რსფსრ-ს, ხოლო მესამეზე — მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილზე არიან: კარიმოვი (ყაზახეთი), პეტროსიანი (სომხეთი), ვარდანიანი (საქართველო), ეპგოიანი (სომხეთი), პანკრატიევი (ლენინგრადი), ვოსკანიანი (სომხეთი), ასლანიანი (აზერბაიჯანი), მოხოვი, მუხინი (ორივე რსფსრ) და სიმონიანი (სომხეთი).

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოსა და ესტონეთის გამოცდილი მოკრივეები ძლიერ მოწინააღმდეგეებს წააწყდნენ სომხეთისა და რსფსრ-ს წარმომადგენელთა სახით. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სომხეთის მოკრივეებმა. მაგრამ ნაკლად უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მთავარ ყურადღებას აქცევენ დარტყმების სიძლიერეს და უგულებელყოფენ ტაქტიკურ ბრძოლას. ასეთივე ნაკლი ახასიათებდათ უკრაინის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს.

ლ. სესაძის წარმატება

კიევში ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მოზარდ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 15 მოკავშირე რესპუბლიკის და მოსკოვისა და ლენინგრადის 530 სპორტსმენი.

100 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის ნახევარფინალში ლენინგრადელმა ნეკრასოვმა გაიმეორა საკავშირო რეკორდი — 10,8. ფინალში ნეკრასოვს მოუგო მოსკოველმა ბრონინმა—11,0. იმავე გარბენში მესამე ადგილი დაიკავა საქართველოს ნორჩმა მძლეოსანმა ლ. ანთაძემ. მისი შედეგი — 11,1 — 15-16 წლის ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია.

200 მეტრზე რბენაში პირველობა მოიპოვა ნეკრასოვმა — 22,7. 1.500 მეტრიანი დისტანცია ყველაზე ადრე (4:08,6) უკრაინელმა გორბენკომ დაფარა.

გოგონათა შეჯიბრება 400 მეტრზე აღინიშნა 17-18 წლის გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდით, რომელიც დაამყარა ზ. შილოვამ (რსფსრ).

ბირთვის კვრაში გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ლ. სესაძემ (საქართველო). გამარჯვებულის შედეგია 12 მეტრი 37 სანტიმეტრი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების პროცესში გაუმჯობესებულ იქნა 6 საკავშირო რეკორდი.

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ისტ-ბენგალ კლუბი" (კალკუტა)

21 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ჩაატარა ინდოეთის ფეხბურთელთა გუნდმა. დედაქალაქის „ტორპედოს" წინააღმდეგ თამაშობდა ინდოეთის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი აღმოსავლეთ ბენგალიის ქ. კალკუტის სპორტული კლუბის — „ისტ-ბენგალ კლუბის" გუნდი. მაყურებლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ კალკუტის ფეხბურთელებს.

თამაშის დასაწყისი აღინიშნა ტორპედოელთა აშკარა უპირატესობით. უკვე მე-2 წუთზე მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მალოვმა გახსნა ანგარიში. 8 წუთის შემდეგ ინდოელთა მეკარემ უკვე მეორე ბურთი გამოიტანა კარიდან.

ამ მარცხს სტუმრებმა მძაფრი კონტრიერიშით უპასუხეს. აღმოსავლეთ ბენგალიის ფეხბურთელები მოქმედებდნენ მეტად სწრაფად და მოკლე. ხშირი გადაცემებით დიდ სიჩქარეში უტევდნენ მოწინააღმდეგეს. მალე სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლამაზი დარტყმით შესძლო პირველი საპასუხო ბურთის გატანა, ცოტა ხანში კი მარჯვენა გარემარბმა ვენკატეშმა 25 მეტრიდან დაარტყა საჯარიმო და ანგარიში გაათანაბრა.

თამაშის მეორე ნახევარში ტორპედოელმა ივანოვმა მესამე ბურთი გაიტანა, მაგრამ მალე სტუმრებმა გაითამაშეს მეტად ლამაზი, სწრაფი კომბინაცია და ანგარიში კვლავ გათანაბრდა. შემდგომში ორივე გუნდის კართან მრავლად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ ანგარიში 3:3 არ შეცვლილა.

„ჰონვედი" (უნგრეთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)

ბუდაპეშტის სპორტული წრეების მიწვევით ბუდაპეშტს ჩავიდა მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. 20 აგვისტოს ბუდაპეშტის ახალი გრანდიოზული სტადიონის გახსნის დღეს მოსკოველები შეხვდნენ უნგრეთის ჩემპიონს „ჰონვედს".

თამაში ცვალებადი უპირატესობით დაიწყო. მოსკოველებმა რამდენიმე ეფექტური შეტევა განახორციელეს, რომელთაგან ერთ-ერთი დამთავრდა მარცხენა მცველის სედოვის მოულოდნელი გასვლით „ჰონვედის" კართან. ანგარიში გაიხსნა. უნგრელებმა მთელი ძალით შეუტიეს სტუმრებს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს, დაცვა და მეკარე პირაევი წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. მეორე ტაიმი „ჰონვედმა" ენერგიული შეტევით დაიწყო და მე-2 წუთზე მიაღწია წარმატებას — 1:1. 20 წუთის შემდეგ მოსკოველებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში — მათ კარში ბურთი გატანილ იქნა საჯარიმო დარტყმიდან. მალე ტატუშინის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი გროშიჩმა ხელში ვერ გააჩერა, უკუაგდო და სიმონიანმა იგი კარში გაგზავნა.

8 წუთი იყო დარჩენილი თამაშის ბოლომდე, როცა „სპარტაკის" მხარეს დანიშნულ იქნა კუთხური დარტყმა. პირაევმა სწორად ვერ შეარჩია ადგილი და გაუშვა მესამე ბურთი.

საინტერესო შეხვედრა დამთავრდა „ჰონვედის" გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

„დინამო" (მოსკოვი) — ალბანეთი

გუშინ მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" და ალბანეთის ნაკრები.

შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და საინტერესო, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. იგი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით — 4:0.

მყინვარწვერზე

1923 წლის 28 აგვისტოს ჯერ ღამე იყო — 4 საათი და 30 წუთი, — როდესაც დევდორაკის ყინვარის მარცხენა ნაპირის ქედზე წამოსკუპებული „შავარდენის ბუდიდან“ (ძველად, რუსეთის სამთო საზოგადოების მიერ აგებული ეგრეთწოდებული „ერმოლოვის ქოხის“ ნანგრევები) მყინვარწვერისაკენ გაემართა ქართველი ახალგაზრდობის ჯგუფი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გ. ნიკოლაძის მეთაურობით. ჯერ სრულიად გამოუცდელმა, სახელდახელოდ აღჭურვილმა მთასვლელებმა, მძაფრ ქარიშხალსა და 20 გრადუსიან ყინვაში 1.200 საფეხური გაჭრეს ყინულში და 11 საათის ბრძოლის შემდეგ მწვერვალზე იდგა 18 მამაცი ადამიანი, მათ შორის 5 გოგონა. საღამოს 10 საათი სრულდებოდა, უკვე დაღამდა, როდესაც გამარჯვებულები „შავარდნის ბუდეში“ დაბრუნდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მყინვარწვერს განმეორებით ეწვია მთასვლელთა რაზმი. მწვერვალზე ავიდა პროფ. ა. დიდებულიძის სამეცნიერო ექსპედიციის ჯგუფი — 7 ვაჟი და 1 ქალი — ალექსანდრა ჯაფარიძე, მაშინ სტუდენტი, მეტეოროლოგი, ახლა სპორტის დამსახურებული ოსტატი.

აჰე ჩაისახა საბჭოთა მთასვლელობა. იგი დაიწყო ამ ოცდაათი წლის წინათ, მაშინ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანაში იშლებოდა დევგმირული შრომა და ბრძოლა ბედნიერი მომავლისათვის.

• • •

იქ, სადაც დარიალსმიახლოებული თერგი ხიდქვეშ გაივლის და თავის შხეფებს ლამის იმ კლდეს მიაწვდენს, რომლიდანაც მგზავრს ალექსანდრე ყაზბეგის მკრთალი სახე დაჰყურებს, სოფელია, გველეთად წოდებული. მაღალი, ჩამოლესილი კლდეების ძირში გაფანტულია დაბალი სახლები.

ამ რამდენიმე დღის წინად მის გვერდით კარვების პაწია ქალაქი გაშენდა, რომელშიც ასზე მეტი მთასვლელი დაბინავდა. გათენდებოდა თუ არა, ისინი ხაზზე ეწყობოდნენ, მერე მათი წყობის ჯაჭვი შვიდათ იყოფოდა და თითოეული მათგანი თავ-თავისი გზით მიდიოდა ხან ჩანთააკიდებულნი და გრძელ თოკზე შებმულნი დაქანებულ მწვანიანებზე ან ნაშალებზე დადიოდნენ, ხან კლდეებზე დაძვრებოდნენ, ხან მყინვარწვერის ყინულებიდან მონადენ აქაფებულ ნაკადებზე ბაგირით გადი-გამოდიოდნენ.

ნასადილევს ბანაკს ჟრიამული აყრუებდა. ერთგან ჭიდაობა იმართებოდა, სხვაგან სიმძიმეების აწევაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ზოგან კიდევ ბურთს თამაშობდნენ. ისმოდა სიცილი და მეგობრული ხუმრობა, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური და ქართული ლაპარაკი.

ასეთ ყოფაში იყო ათ დღეს ეს კარვების ქალაქი.

1 აგვისტოს კი იგი გაქრა. მაგრამ დევდორაკის ხეობას შეჰყვა მძიმედ დატვირთული ლაშქარი, რომელიც აუჩქარებლად მიაბიჯებდა სულ ზევით და ზევით. აგერ იგი გასცდა ყაბახისა და ჩათისწყლის შესართავს და გაუდგა ჩამონგრეულ ბილიკს, რომელიც ტყიან კალთაზე მიიკლაკნება და მიდის იქამდე, სადაც პატარა მწვანე მოედანზე პაწაწკინტელა ალმასივით ტბა ბრჭყვიალებს—„ტბაწყარო“, როგორც იგი პირველმა საბჭოთა მთასვლელებმა მონათლეს. მის გვერდით ყოფილი დევდორაკის მთასვლური ბანაკის დაქცეული შენობაა. მოლაშქრენი გასცდნენ ამ მოედანს, გადასერეს რამდენიმე ციცაბო, ჩამოგრძელებული თოვლის ენა, გაიარეს „დიდებულიძის ნაბინავარი“ და მიადგნენ ტაფობს, რომელიც დევდორაკის ყინვარის პირდაღებულ ნაპრალებს გადაჰყურებს. უმალ ტაფობში გაიმართა კარვები, ბანაკი აფუსფუსდა.

მეორე დილამ მოლაშქრეებს ყინვარზე მოუსწრო. მას მოჰყვა მოხქანცავი აღმართი — მწვანე კალთა, რომელზედაც ცვარი წყალი არ იშოვებოდა. დასრულდა აღმართიც. დაღამდა. კვლავ გაიშალა კარვების ქალაქი ერთიციცქნა თოვლისნაეურ ტბასთან. მოწყურებული მოლაშქრეები ხარბად დაეწაფნენ მის ანკარა წყალს.

მესამე დღე გათენდა. ალპინიადა მძიმედ მიიზლაზნება მწყრობის მთის სერით. ყველაზე უკან 1-ლი განყოფილებაა — მაშველი რაზმი, რომელსაც უმცროსი ინსტრუქტორი გ. ხაჩატურიანი მიუძღვის.

ახლოა უკვე დაძლეული სერის უკანასკნელი შუბიც თოვლყინულა ველის საზღვარზე — „მრისხანე“. მის ძირში, 4.375 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან იშლება უკანასკნელი ბანაკი, რომელიც იმ ღამითვე ორ საათზე აიშალა.

მთვარე ანათებდა. ყინავდა. ალპინიადის უფროსთან ა. ივანიშვილთან შეგროვდნენ განყოფილებათა მეთაურები: ო. თორთლაძე, ც. ქვანია, გ. ფირუზი, ს. გამრეკელი, შ. ავსაჯანიშვილი და სხვანი. სვლის წესრიგი მიღებულია. გაისმა მათი ძახილი და „მრისხანის“ ჩრდილოეთით ჩამოწოლილ თოვლყინულა ველს შეექიდა მთასვლელთა მდუმარე წყობა. მოწინავე ჯგუფში სპორტის ოსტატი ლ. სუჯაშვილი და ი. ხუციშვილი შედიოდნენ. განყოფილებები „მრისხანეს“ თავზე მოექცნენ, რიგრიგობით გადაბობღდნენ მის დაფშხვნილ ხერხემალზე და დაეშვნენ მყინვარწვერის ძირში განივრად გადაშლილ მაილის თოვლყინულა პლატოზე. იღიჟრაჟა. თოვლყინულაზე გაიკვალა ლურჯი ბილიკი. მოლაშქრეები მდუმარედ მიაბიჯებდნენ ერთმანეთის კვალდაკვალ. აჰა. ესეც უნაგირა. ტექნიკუმის სტუდენტები ა. ყამარაული და ი. ზარეჩნიაკი უნაგირადან გულდაწყვეტილები ბრუნდებიან უკან, რომ ჩააცილონ ავად გამხდარი ამხანაგი. რუსთაველის თეატრის მსახიობის, ინსტრუქტორ მ. გეგეჭკორის განყოფილება მარჯვედ მიიბრქვის უკვე მყინვარწვერის ალმოსავლეთი კონუსის კალთაზე. დანარჩენებიც, თითქმის ყველანი უკანასკნელ აღმართს შეექიდნენ.

ყველა ზევითაა. მწვერვალის ბექზე განლაგდნენ მოლაშქრეები. აგერ ვაშას ძახილით უკვე ქვევით ეშვება სომხეთის ჯგუფი ა. პოღოსიანის მეთაურობით. გახარებულნი არიან, რომ 14 კაცი უკლებლივ ავიდა მყინვარწვერზე. ჩამოიარა აზერბაიჯანელთა ჯგუფმაც. ხარატ ს. ისაკევის სახეზე მარგალიტებივით კბილები ელვარებს.

უკვე შუადღე მოახლოვდა. ხეობებში ჩაძირული ღრუბლები ზემოთ ტივტივდება, მაგრამ აქ 5.000 მ სიმაღლეზე მზე კაშკაშებს და ცეცხლივით მწველია.

ძირს, თოვლყინულაზე, დატოვებულ ჩანთებთან, შეჯგუფდა ხალხი და ნაწილ-ნაწილ გაემართა გერგეთის მყინვარით ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურისაკენ.

• • •

ბევრჯერ ხვდებიან ერთმანეთს მოძმე საბჭოთა ერების შვილნი სპორტულ შეჯიბრებათა სარბიელზე და მეგობრულად ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. საბჭოთა მთასვლელობის 30 წლისთავზე, მის სასახელოდ და შემდგომი განვითარების საწინდრად, 1953 წლის 4 აგვისტოს მყინვარწვერზე მხარდამხარ იდგა 94 მთასვლელი — 15 აზერბაიჯანელი, 24 სომეხი და 55 ქართველი.

ვინც ამიერიდან კავკასიონის ერთ-ერთ უკეკლუცეს მწვერვალზე — მყინვარწვერზე ავა, იგი მის უმაღლეს ქიმზე ნახავს ფილაქნის მოზრდილ ფირფიტას, რომელსაც აწერია:

„ამიერკავკასიის რესპუბლიკათა პროფესიული კავშირების ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა ფიზკულტურელების საიუბილეო ალპინიადა. 1923-1953“.

დ. ფურცელაძე,
სპორტის ოსტატი, ალპინიადის უფროსის მოადგილე სასწავლო და სპორტულ დარგში.

ს უ რ ა თ ზ ე: (ზევით) მყინვარწვერი, (ქვევით) სამი რესპუბლიკის მთასვლელთა ერთი ჯგუფი მწვერვალზე.

საბჭოთა პარაშუტისტების მსოფლიო რეკორდები

ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურმა ავიაკლუბმა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციისაგან (ფაი) მიიღო ცნობა საბჭოთა კავშირის სპორტსმენ-პარაშუტისტთა მსოფლიო რეკორდების დამტკიცების შესახებ.

1953 წლის 27 მაისს პარაშუტისტთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: პ. ბოიჩიუკი, ი. ბუდანოვი, ი. მაზნი, კ. სოლოვიოვი და ვ. ტუკი, 4.930 მეტრის სიმაღლიდან მოახდინა ჯგუფური დაშვება პარაშუტის დაუყოვნებლივ გახსნით.

რამდენიმე დღის შემდეგ ზ. ოზეროვი გადმოხტა 4.953 მეტრის სიმაღლიდან პარაშუტის დაუყოვნებლივი გახსნით.

ორივე ეს შედეგი საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ დაამტკიცა როგორც მსოფლიო რეკორდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ზ ე: ტყვარჩელის №5 შახტის მუშები საკუთარ მოედანზე თამაშობენ ფრენბურთს.

ლანძის წრეში...

„საჩვენებელი“ თამაში

აფხაზეთის კოლმეურნე ფეხბურთელები „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს თასისათვის გამართული ბრძოლის შემდეგ მოუთმენლად ელოდნენ სოხუმის საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდების „ისკრისა“ და „დინამოს“ შეხვედრას, რომელსაც საჩვენებელი ეწოდებოდა. სოფლის ახალგაზრდობას აინტერესებდა საკმაოდ ძლიერი გუნდების შეხვედრის ყოველი მომენტი, ფიქრობდნენ შეესწავლათ მათგან თამაშის ტექნიკა, ტაქტიკა.

დაიწყო შეხვედრა. მაყურებლები ცოტა არ იყოს გაკვირვებული დარჩნენ. თამაში მეტის-მეტად ცხარედ წარიმართა და თავიდანვე ფრიად „ექსცენტრიული“ ხასიათი მიიღო. პირველ წუთებში თამაში კიდევ წააგავდა ფეხბურთს, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ ფეხბურთელებს ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებდათ და ერთმანეთს უფრო დასდევდნენ, ვიდრე ბურთს. მოედანზე განუწყვეტლივ ისმოდა გინების, ყვირილისა და ფეხის ფეხში გარტყმის ხმა. სოფლიდან ჩამოსული სპორტსმენების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა — „აი, ჩვენი საქებარი გუნდები, აი, საქებარი მაგალითი.“

დინამოელმა შ. გობეჯიშვილმა ბადროს ტყორცნის კარგი ტექნიკა უჩვენა: რამდენიმე კილოგრამიანი ლოდი მოხდენილად ტყორცნა და „ისკრის“ წარმომადგენელს გ. გურგენიძეს აძგერა ბეჭებში. „ისკრის“ წარმომადგენელიც არ დაიბნა, მოჭიდავის ლამაზი კომბინაციით მოწინაღმდეგე მკლავებში მოიგდო და ჭიდაობა სამბოს ერთ-ერთი ილეთით ძირს დაგდებას უპირებდა. შეიქნა ყვირილი, კივილი, ხალხი გაიქცა იმ ადგილისაკენ, სადაც ორთაბრძოლა იყო გამართული. მილიციის ძალით და ხალხის ჩარევით მოჭიდავენი, როგორც იქნა გააშველეს.

ალბათ შეხვედრის შედეგის გაგება გინდათ: გარეთ რომ გამოვედით ფერდაკარგულმა მსაჯმა გვითხრა 0:0 დამთავრდაო. მაგრამ ჩვენი აზრით ამ ორთაბრძოლის შედეგია 2:1 გურგენიძის სასარგებლოდ.

საკითხავია, სათანადო ხელმძღვანელი ორგანიზაციები მიიღებენ თუ არა ზომებს ხულიგანთა წინააღმდეგ?

პ. ლეთოდიანი,

უპატრონონი

— ხედავ, კაცო, ფეხბურთს მთლად ფეხშიშველები არ თამაშობენ?

— ვაი, სირცხვილო, თავი მოეჭრა ჩვენს კოლმეურნეობას და ესაა!

ასეთი დიალოგი გაიმართა ზესტაფონის გარეუბნის კოლმეურნეობის ყანაში, რომელსაც აქაური ახალგაზრდები ზრდილობისათვის „მოედანს“ უწოდებენ. 22 ფეხბურთელი რაღაც ბურთის მსგავს, საკუთარი ხელით ნაკეთებ საგანს დააჯირითებდნენ ჩალის ღეროებზე, ბარდებზე, ქვა და ღორღზე. არ იყო არც ჩვეულებრივი კარი, არც დახაზული მოედანი, არც ნამდვილი ბურთი და არც მოთამაშეებს ეცვათ რაიმე ფორმა. ჩანდა მხოლოდ სპორტის მოტრფიალე ახალგაზრდობა და უინტერესო, უხალისო ხელმძღვანელობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე — გ. მაჩიტიძე, „კოლმეურნის“ ძირეული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ო. ფერაძე და „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გ. ჭიპაშვილი.

კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ თხოვნით მიმართა კომკავშირის რაიკომს, რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, ჯანმრთელობის განყოფილებას, გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. დახმარება ყველამ აღუთქვა, მაგრამ მხოლოდ აღუთქვა. გ. მაჩიტიძე და გ. ჭიპაშვილი კი ოლიმპიურ სიმშვიდეს იჩენენ. — ვერცერთს ვერ დააცდენინეს „ტკბილი სიტყვა“ და კაპეიკიც ვერ გააგდებინეს ხელიდან ფიზკულტურული მუშაობისათვის.

ა. ფოცხვერაშვილი

მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის

მსოფლიო ჩემპიონის ლ. რუდენკოსა და სსრ კავშირის ჩემპიონ ე. ბიკოვას საჭადრაკო მატჩის პირველი გადადებული პარტია გათამაშდა 17 აგვისტოს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მხოლოდ 5 სვლა გააკეთა და შემდეგ თამაშის გაგრძელება ზედმეტად მიიჩნია.

მატჩის მეორე პარტია გათამაშდა 18 აგვისტოს. დაფაზე შეიქმნა დრაკონის ვარიანტის სახელით ცნობილი პოზიცია. ბიკოვა კვლავ ცაიტნოტში აღმოჩნდა. 42-ე სვლაზე პარტია გადაიდო. რუდენკოს ზედმეტი პაიკი ჰქონდა. გადადებული პარტიის გათამაშების დღეს ნათელი შეიქნა, რომ შავებს (შავებით თამაშობდა რუდენკო) ძლიერი სვლა ჩაეწერათ. მსოფლიო ჩემპიონმა ზუსტად განახორციელა ჩანაფიქრი და 67-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

20 აგვისტოს გათამაშდა მესამე პარტია, რომელიც მეტად მწვავე ხასიათს ატარებდა. თეთრებით თამაშობდა რუდენკო. ამჯერად ბიკოვა კარგად მოემზადა რევანშისათვის და პარტია მოიგო.

ლელობურთი

20 დღეს გრძელდებოდა ჩოხატაურის რაიონული პირველობის გათამაშება ლელობურთში. ჩემპიონის საპატიო წოდებისა და გარდამავალი თასისათვის იბრძოდა 9 გუნდი. გათამაშება დასაწყისიდანვე დაძაბულად მიმდინარეობდა. ქულათა თანაბარი რაოდენობა (14 ქულა) დააგროვა ხიდისთავისა და ერკეთის საკოლმეურნეო გუნდებმა. მათ შორის დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, სადაც თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდო ერკეთის გუნდმა და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 14:4. მეორე ადგილი დარჩა ხიდისთავის გუნდს. გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა გათამაშებაში III ადგილი დაიკავა.

გ. ახალაია.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03493